თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №3

თბილისი, 12 აგვისტო, 2024 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- რატი ბრეგაძე – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- მანანა ბეგიაშვილი – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- მიხეილ დუნდუა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- ხათუნა თოთლაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- გელა გელაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე;
- ნატო ზაალიშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- ნათია მერებაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- გიორგი კვარაცხელია – სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
- გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- მარიამ ნიშნიანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი;
- გიორგი მინდიაშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დეპარტამენტის დირექტორი;

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- ბარტეკ ლეხი – NDI-ს გრძელვადიანი საარჩევნო ანალიტიკოსი;
- გიორგი ხაჩიძე – თარჯიმანი.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- გივი მიქანაძე – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“;
- გიორგი ხოკერაშვილი – „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა;
2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესის შესახებ;
3. კომისიის წევრების მოსმენა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ;
4. სხვადასხვა.

დღის წესრიგის შესაბამისად, კომისიის წევრებმა მოისმინეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროს გიორგი სანტურიანის მოხსენება პოლიტიკური გაერთიანებების რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, პოლიტიკური გაერთიანების მიერ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არსებობს ორი შესაძლებლობა: 1. თუკი პოლიტიკურ გაერთიანებას ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი, ასეთ შემთხვევაში არჩევნების დანიშვნიდან სამი დღის განმალობაში პარტიას შესაძლებლობა აქვს, მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ცესკო-ს თავმჯდომარე განახორციელებს სარეგისტრაციო პროცედურებს; 2. თუკი პოლიტიკურ გაერთიანებას არ ჰყავს დეპუტატი, ამ შემთხვევაში საჭიროა 25 000 მხარდამჭერის ხელმოწერის წარმოდგენა. ამისათვის პოლიტიკურ გაერთიანებებს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის 15 ივლისამდე უნდა მიემართათ.

ბატონი გიორგის თქმით, ამ ეტაპისთვის ოცდაათმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ მიმართა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელთაგან რეგისტრაცია გაიარა ჩვიდმეტმა, ათს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, რადგან ვერ დააკმაყოფილეს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, ხოლო სამი პოლიტიკური გაერთიანების სარეგისტრაციო პროცედურები ამჟამადაც

მიმდინარეობს. რაც შეეხება იმ პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომელთაც შემდგომში აქვთ მომართვის შესაძლებლობა, ასეთი სულ ცამეტია. საბოლოო ჯამში, სარეგისტრაციო პროცესში მყოფი სამი პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში დანარჩენი 13 გაერთიანებაც გამოიყენებს რეგისტრაციის შესაძლებლობას და მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებში სულ იქნება 33 რეგისტრირებული პოლიტიკური გაერთიანება.

კომისიის თავმჯომარემ კითხვით მიმართა ბატონ გიორგის საარჩევნო ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ 16 აგვისტოს იგეგმება ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, სადაც პოლიტიკურ გაერთიანებებს მიენიჭებათ რიგითი ნომერი. რიგითი ნომერი მიენიჭება იმ პარტიებსაც, რომლებსაც უფლება აქვთ, არჩევნების გამოცხადების შემდეგ მომართონ ცესკოს. იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრაციას არ გაივლიან დადგენილ ვადებში ან თუ შემდგომში რომელიმე პარტიის რეგისტრაცია გაუქმდება, შევა ცვლილება ცესკო-ს სამართლებრივ აქტში და რიგითი ნომერიც გაუქმდება. მისი თქმით, პოლიტიკური გაერთიანებების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ცესკო-ს წინააღმდეგ არ მიმდინარეობს არცერთი დავა.

კომისიის წევრებმა განიხილეს მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია.

„მთავარი არხის“ სიუჟეტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის №1025 განკარგულებას, კომენტარი გააკეთა ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი). როგორც მან აღნიშნა, 23 ივლისს დამტკიცდა შესაბამისი პროგრამა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, რომელიც, დაახლოებით, 12 წელზე მეტია, მოქმედია და ყოველ წელს მტკიცდება ბიუჯეტით. მისი თქმით, ახლაც ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი; ზემოაღნიშნული ფონდი განსაზღვრულია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, რომელშიც არაერთი პროგრამა მოქმედებს. ასევე, საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულია მთავრობისთვის საფუძველი, რომ ამ ფონდის განკარგვა ხდება მთავრობის გადაწყვეტილებით. ამგვარი გადაწყვეტილებები მთავრობის მიერ მიიღება ყოველწლიურად და, შესაბამისად, პროგრამა წელსაც დამტკიცდა. რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდი ემსახურება მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა პროექტის განხორციელებას, მათ შორის, ძირითადად, ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზებას. შესაბამისად, ინფორმაციაში აღნიშნული პროგრამა არ ფინანსდება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და არის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამა. რაც შეეხება პროგრამის მიზნობრიობას, სიტყვით გამომსვლელის თქმით, როგორც მთავრობის განკარგულებაში, ისე ფონდის განკარგვის წესშია მისი მიზნობრიობა განსაზღვრული და ეს წარმოადგენს მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებას. ეს კი დაკავშირებულია მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტთან, საბავშვო ბაღებთან, გზებთან, წყალთან, გარე განათებებთან, სპორტულ კომპლექსებთან და ასე შემდეგ. და ეს ყველაფერი ხორციელდება ყოველწლიურად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამა საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ შესაბამის ვადებში იყო დამტკიცებული.

ბატონმა ნიკოლოზმა ისაუბრა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ მომდევნო ინფორმაციასთან დაკავშირებითაც, რომელიც შეეხებოდა საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების მიერ 3 აგვისტოს ბათუმში პოლიტიკური პარტიის „გახარია საქართველოსთვის“ წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის საკითხს. მან აღნიშნა, რომ, ბათუმის მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, მედიამასალაში ხსენებული პირები ბათუმის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლები არიან; ერთ-ერთი თანამშრომლის განმარტებით, იგი იმყოფებოდა თავის კუთვნილ სახლთან, რა დროსაც შეესწრო ზემოაღნიშნულ შეხვედრას თანმხლებ ორ პირთან ერთად; მათ უბრალოდ დასვეს რამდენიმე შეკითხვა, რაც არ მოეწონათ შეხვედრის ორგანიზატორებს და ამის გამო, მისი თქმით, მას მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. ბათუმის მუნიციპალიტეტის განმარტებით, მუნიციპალიტეტს არანაირი კავშირი არ აქვს ზემოაღნიშნულ შემთხვევასთან, მით უმეტეს, რომ ეს შეხვედრა იმართებოდა 3 აგვისტოს, არასამუშაო დღეს. ამასთან, ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების“ თანამშრომელი იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი განმარტავს, რომ შესაბამისი ორგანოებს არანაირი კაშირი არ აქვთ მოცემულ შემთხვევასთან.

ამავე საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ბატონმა გიორგი მინდიაშვილმა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დეპარტამენტის დირექტორი). მისი თქმით, აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტროსთვის არ მიუმართავს არც უშუალოდ პარტიის წევრებს და არც მესამე პირს. უშუალოდ ინციდენტის დროს ფიზიკური ძალადობის ფაქტი არ დაფიქსირებულა და, შესაბამისად, საქმეც არ აღძრულა.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის.

კომისიის თავმჯდომარე: რატი ბრეგაძე

კომისიის მდივანი: მანანა ბეგიაშვილი